არ ირწმუნებს თქვენგან არავინ მანამ, სანამ არ ისურვებს თავისი ძმისთვის იმას, რაც სურს საკუთარი თავისთვის

ანას იბნ მალიქი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას თქვა): «არ ირწმუნებს თქვენგან არავინ მანამ, სანამ არ ისურვებს თავისი ძმისთვის იმას, რაც სურს საკუთარი თავისთვის».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ მუსლიმის სრული რწმენა არ შედგება მანამ, სანამ ის არ ისურვებს თავისი ძმისთვის იმას, რაც საკუთარ თავისთვის სურს, იქნება ეს მორჩილების საქმეები თუ კეთილდღეობა რელიგიასა და ამქვეყნიურ ცხოვრებაში. ასევე, უნდა სძულდეს მისთვის ის, რაც საკუთარი თავისთვის სძულს. თუ მუსლიმი ძმაში რელიგიურ ნაკლოვანებებს შენიშნავს, უნდა ეცადოს მის გამოსწორებას. ხოლო თუ მასში სიკეთეს დაინახავს, უნდა გაამხნევოს, დაეხმაროს და რჩევა მისცეს რელიგიურ ან ამქვეყნიურ საქმეებში.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/4717

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee